



საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ უ ნ ე ბ უ

N 112  
26/08/2021

112-21-4-202108261459



**სამუშაო ადგილზე გამოცხადებისას ან/და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის კოვიდ საბუთის წარდგენის ვალდებულების შესახებ**

მსოფლიოში, და მათ შორის, საქართველოში, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების და შექმნილი უმძიმესი ეპიდ-ვითარების გამო, რაც ინდივიდუალურად და კოლექტიურად სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ასევე პანდემიასთან ბრძოლაში სწრაფი ვაქცინაციის და სხვა პრევენციული ღონისძიებების გატარების სასიცოცხლო მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატი ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, ასევე იმ პირთა დაცვის მიზნით, ვისთანაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს აქვთ ურთიერთობა, მიიღება წინამდებარე გადაწყვეტილება.

პანდემიიდან გამომდინარე, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი საქმიანობის განსაკუთრებული ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 16 აპრილის N49 ბრძანების შესაბამისად და საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური ვალდებულებების ეფექტურად შესრულებისათვის, აპარატის თანამშრომელთა ნაწილი მუშაობს დისტანციურ რეჟიმში, თანამშრომელთა ნაწილი ადმინისტრაციული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელებისათვის მუშაობს განაგრძობს აპარატის შენობა(ებ)ში. ამასთან, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები (როგორც დისტანციურ, ასევე ჩვეულებრივ და შერეულ რეჟიმში მომუშავეები) აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგს. ასევე, აქტიურ რეჟიმში ხორციელდება მივლინებები/შეხვედრები/ტრენინგები და სხვა, რის გამოც აპარატის რესურსის გათვალისწინებით, რამდენიმე თანამშრომელი გადაადგილდება ერთი ავტომობილით ან/და ერთ მძღოლს აქვს შეხება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებთან.

აპარატის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირია აპარატის მხრიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე გადაუდებელი რეაგირების საჭიროებაც, რის გამოც აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს როგორც თანამშრომლის, ასევე იმ პირთა უსაფრთხოება, ვისთანაც აპარატის

თანამშრომელს აქვს კომუნიკაცია. შესაბამისად, აპარატში შერეული სამუშაო რეჟიმის არსებობის მიუხედავად, ფაქტობრივად, შეუძლებელია თანამშრომელთა და აპარატის ბენეფიციართა დაცვა უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებული ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლის 5<sup>1</sup>-ე და 5<sup>2</sup>-ე პუნქტების შესაბამისად,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, სამუშაო ადგილზე გამოცხადების ან/და სამსახურებრივი მოვალეობების სახალხო დამცველის აპარატის გარეთ შესრულებისათვის დადგინდეს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა (ყველა დასაქმებული, გარდა ერთჯერადი საექსპერტო სამუშაოს შესრულების მიზნით მოწვეული ექსპერტებისა, რომლებიც დისტანციურად ასრულებენ სამუშაოს) მიერ **კოვიდ საბუთის**: სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (ორჯერადად ვაქცინაციის დამადასტურებელი კოვიდ ბარათი, რომელიც გაცემულია დადგენილი წესით და ფორმით) ან PCR ტესტის უარყოფითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება. აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა არ არის სავალდებულო წინამდებარე ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის მიერ სრულად დისტანციურად მუშაობის პერიოდში.

2. **კოვიდ საბუთი** სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელმა უნდა წარუდგინოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს ელექტრონულად ან მატერიალური სახით.

3. სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის/წარუდგენლობის შემთხვევაში, თანამშრომლის მიერ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ელექტრონულად ან მატერიალურად წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) PCR ტესტის უარყოფითი პასუხი, ყოველ სამშაბათს დღეს, არაუგვიანეს 12:00 საათისა, რომელიც აღებული უნდა იქნეს ტესტის პასუხის წარმოდგენამდე 24 საათის ფარგლებში;

ბ) გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ ესწრება PCR ტესტის ჩატარება, თანამშრომლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს სწრაფი ტესტის უარყოფითი პასუხი, რომელიც აღებული იქნება პასუხის წარმოდგენამდე 1 საათის ფარგლებში.

4. დაუშვებელია თანამშრომლის მიერ წინამდებარე ბრძანების პირველი - მესამე პუნქტების დარღვევით სამსახურში ან/და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის სხვა ორგანოებში გამოცხადება.

5. **კოვიდ საბუთის** გარეშე აპარატის თანამშრომელი არ დაიშვება სამსახურში ან/და სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად სახალხო დამცველის აპარატის გარეთ (გარდა დისტანციურად მუშაობისა). შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატში

თანამშრომლის გამოუცხადებლობა ან/და სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა ჩაითვლება არასაპატიოდ.

6. თანამშრომლებმა, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე აქვთ ვაქცინაზე სამედიცინო უკუჩვენება ან დროებითი უკუჩვენება (მათ შორის, Covid-19-ით ავადობის შემდგომი პერიოდი), უნდა წარადგინონ ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი (ცნობა, ფორმა N100 ან მსგავსი ტიპის სხვა დოკუმენტი), რომელშიც პირდაპირ იქნება მითითება ვაქცინაციის ჩატარების შეუძლებლობის ან/და კონკრეტულ დროს განმავლობაში ვაქცინაციის ჩატარების შეუძლებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატი, თანამშრომლის მიერ დაკავებული პოზიციის სპეციფიკიდან და სახალხო დამცველის აპარატის საჭიროებებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია იმსჯელოს ამ თანამშრომლისათვის განსხვავებული სამუშაო რეჟიმის დადგენის შესახებ ან/და დროებითი უკუჩვენების პერიოდში, აპარატის ხარჯით PCR ტესტის ჩატარების თაობაზე.

7. წინამდებარე ბრძანებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების კონტროლი დაევალოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

8. წინამდებარე ბრძანებაში მითითებული ტესტების ჩატარების ხარჯები არ ანაზღაურდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, გარდა ქვემოთ მითითებული გამონაკლისი შემთხვევებისა:

ა) სრულად ვაქცინირებულ თანამშრომლებს აპარატი აუნაზღაურებს იმ ტესტების ღირებულებას, რაც საჭიროა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად აპარატის შეუფერხებელი საქმიანობის განხორციელებისათვის;

ბ) აპარატის თანამშრომლებს, რომლებსაც დაევალებათ თავიანთი მოვალეობის შესრულება აპარატის შენობაში ან შენობის გარეთ და წარმოადგენენ ვაქცინის პირველი დოზის ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტს (ელექტრონულად), მეორე აცრის ჩატარებამდე PCR ტესტის ან სწრაფი ტესტის ჩატარების ხარჯები ანაზღაურდება აპარატის მიერ.

9. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 15 სექტემბრიდან, გარდა სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებისა.

10. სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ძალაშია ბრძანების ხელმოწერისთანავე.

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის. თბილისი, აღმამენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი



## საქართველოს სახალხო დამცველი

### ბ რ ძ ნ ნ ე ბ ა

N 133  
10/10/2021

133-21-4-202110101401



#### **„სამუშაო ადგილზე გამოცხადებისას ან/და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის კოვიდ საბუთის წარდგენის ვალდებულების შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 აგვისტოს N112 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ**

2021 წლის 26 აგვისტოს გამოიცა საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანება „სამუშაო ადგილზე გამოცხადებისას ან/და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის კოვიდ საბუთის წარდგენის ვალდებულების შესახებ,“ რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან.

საქართველოს სახალხო დამცველის მითითებული ბრძანების გამოცემის შემდეგ, ამავე ბრძანებით რეგულირებული მსგავსი საკითხების თაობაზე რიგ კანონქვემდებარე აქტებში განხორციელდა ცვლილებები. კერძოდ, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 სექტემბრის N459 დადგენილებით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლის მე-2<sup>3</sup> პუნქტით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებს, მიეცათ უფლება არადისტანციურ რეჟიმში წარმართონ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური კომპონენტები იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პერსონალი და სტუდენტი აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას: სრულად ვაქცინირებულია; უზრუნველყოფს უარყოფითი PCR ტესტის წარდგენას კვირაში ერთხელ; ახალი კორონავირუსის (COVID-19) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.

ასევე, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 15 სექტემბრის N468 დადგენილებით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-3 მუხლს დაემატა 5<sup>3</sup> პუნქტი, რომლის თანახმად, „ნებისმიერი ტიპის ტრენინგზე, კონფერენციასა და სემინარზე მონაწილეთა დასწრება დასაშვებია, თუ ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ არ არის გასული 6 თვეზე მეტი.“

ამასთან, ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ციფრული კოვიდ სერტიფიკატი, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის ქვეყნებში გადაადგილებისა და სხვადასხვა სერვისის მიღების მიზნებისთვის, ვაქცინაციის და PCR ტესტის წარდგენის საფუძვლების გარდა, ასევე გაიცემა კოვიდ გადატანილებისთვის (თუ Covid-19 დადასტურებიდან გასულია 14 დღე) 6 თვის ვადით.

2021 წლის 7 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 დეკემბრის N2459 განკარგულების საფუძველზე შექმნილი საქართველოში COVID-19-ის ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისიის სხდომა. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი ჩართულია კომისიის საქმიანობაში.

გამართულ სხდომაზე წარმართა მსჯელობა კოვიდ გადატანილებისთვის კოვიდ სერთიფიკატის გაცემის საკითხებზე და ასევე იქნა აღნიშნული, რომ საქართველო იზიარებს ევროკავშირში აღიარებულ სტანდარტს და მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს COVID-19-ის გადატანიდან 6 თვის ვადით შესაბამისი სერთიფიკატის გაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი ნაწილის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებული ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების შესაბამისად,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. „სამუშაო ადგილზე გამოცხადებისას ან/და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის კოვიდ საბუთის წარდგენის ვალდებულების შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 აგვისტოს N112 ბრძანების მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5<sup>1</sup> პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5<sup>1</sup>. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის სრულად ვაკცინირებულ თანამშრომელს გაუთანაბრდეს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელი ახალი კორონავირუსის (COVID-19) ლაბორატორიულად დადასტურებიდან ორი კვირის შემდეგ თუ არ არის გასული 6 თვეზე მეტი. ასეთ შემთხვევაში თანამშრომელმა სახალხო დამცველის აპარატში უნდა წარადგინოს ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) ლაბორატორიულად დადასტურების შესახებ დოკუმენტი (ცნობა, ფორმა N100, PCR ტესტის დადებითი პასუხი ან მსგავსი ტიპის სხვა დოკუმენტი)“.

2. ბრძანება ძალაშია ბრძანების ხელმოწერისთანავე.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი